დანართი 1. ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო მოთხოვნები

კანონმდებლობა/ პოლიტიკა	შესაბამისობა
ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება	ევროკავშირის შესყიდვების რეგულაციებისათვის საფუძველს ქმნის და ფუნდამენტურ პრინციპებს განსაზღვრავს
2014/24/EU დირექტივა საჯარო შესყიდვების შესახებ, რომელიც 2004/18/EC დირექტივას აუქმებს	საჯარო სექტორის შესყიდვების დირექტივა
2014/25/EU დირექტივა წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სფეროებში მოქმედი უწყებების მიერ შესყიდვების შესახებ, რომელიც 2004/17/EC დირექტივას აუქმებს	შესყიდვების დირექტივა კომუნალური სექტორისათვის
2014/23/EU დირექტივა საკონცესიო ხელშეკრულებების გაცემის შესახებ	კონცესიების დირექტივა (ეხება საჯარო და კომუნალურ სექტორებს)
ევროპა 2020: გონივრული, მდგრადი და ინკლუზიური განვითარების სტრატეგია COM (2010) 2020	ევროკავშირის სტრატეგია, რომელიც ადგენს 2020 წლისათვის მისაღწევს კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებლებს მწვანე საჯარო შესყიდვა (მსშ) მოხსენიებულია მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ღონისძიებად და შეტანილია ინიციატივებში „ინოვაციების კავშირი“, „რესურსეფექტიანი ევროპა“ და „ენერგეტიკა 2020“
საჯარო შესყიდვა უკეთესი გარემოსათვის COM (2008) 400	იძლევა მითითებებს, საჯარო სექტორის მოხმარებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება როგორ უნდა შემცირდეს და ეკოლოგიურ ტექნოლოგიებში, პროდუქტებსა და მომსახურებაში ინოვაციის სტიმულირებისთვის მსშ როგორ უნდა გამოიყენებოდეს.
პერსონალის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც ახლავს კომუნიკაციას COM (2008) 400 SEC (2008) 2126	ხელისუფლების ორგანოებს აწვდის სასარგებლო რეკომენდაციებს გარემოსდაცვითი კრიტერიუმების განსაზღვრისა და გადამოწმების შესახებ, მსშ-ის სტიმულირების ინსტრუმენტებს და მაგალითებს პროდუქტების ჯგუფების მთელი რიგზე. იგი ასევე სამართლებრივ და საოპერაციო მითითებებს იძლევა.
ციკლის ჩაკეტვა - ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ცირკულარული ეკონომიკისათვის COM/2015/0614 საბოლო სახით	მსშ-ს ცირკულარული ეკონომიკის საკვანძო კომპონენტად განსაზღვრავს, ისეთი საკითხების გადაწყვეტის აუცილებლობას ადგენს, როგორიცაა მსშ-ის კრიტერიუმებში ხანგამძლეობისა და შეკეთებადობის ასახვა, ასევე ევროკომისიას მსშ-ის განხორციელების მხარდაჭერისაკენ მოუწოდებს.

კანონმდებლობა/ პოლიტიკა	შესაბამისობა
წინაკომერციული შესყიდვა: ინოვაციის სტიმულირება ევროპაში მაღალი ხარისხის მდგრადი საჯარო სერვისების უზრუნველსაყოფად COM (2007) 799	ადგენს კვლევისა და განვითარების მომსახურების შესყიდვის მეთოდოლოგიას, რომლებიც დირექტივებისაგან გათავისუფლებულია
2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტიანობის შესახებ	ენერგოეფექტიანობის დირექტივა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს მხოლოდ ენერგოდამზოგი პროდუქტების, მომსახურებისა და შენობების შესყიდვას ავალდებულებს. დირექტივის III დანართი განსაზღვრავს მიდგომას, რომელიც თითოეულ სასაქონლო/მომსახურების დარგზე ვრცელდება.
2009/33/EC დირექტივა სუფთა და ენერგოეფექტიანი საგზაო სატრანსპორტო საშუალებების ხელშეწყობის შესახებ	სუფთა ავტომანქანების დირექტივა საგზაო სატრანსპორტო საშუალებებისათვის ადგენს სავალდებულო მსშ მოთხოვნებს, რომლებიც გაფრქვევებს და ენერგომოხმარებას ეხება.
რეგულაცია No106/2008 საოფისე ტექნიკისათვის ევროგაერთიანების ენერგოეფექტიანობის მარკირების პროგრამის შესახებ	რეგულაცია „Energy Star“ საოფისე აღჭურვილობის შესყიდვისთვის სავალდებულო მსშ მოთხოვნებს აწესებს.
2010/31/EU დირექტივა შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ (EPBD)	EPBD ადგენს ენერგოეფექტიანი მშენებლობის ინდიკატორებსა და ზღვრულ მნიშვნელობებს, მათ შორის სამომავლო სავალდებულო მოთხოვნებს თითქმის ნულოვანი მაჩვენებლების მქონე შენობების შესახებ.
2010/30/EU დირექტივა ენერგიასთან დაკავშირებული საქონლის მიერ ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების ნიშანდებისა და სტანდარტული პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მეშვეობით მითითების შესახებ	ენერგო-ნიშანდების დირექტივა მოითხოვს გარკვეული საქონლის (მაგ., კონდიციონერები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, ნათურები) სტანდარტიზებული ენერგეტიკული კლასის მიხედვით ნიშანდებას. ევროკომისიის წინადადებით, ამჟამად ეს კლასები გადასინჯვას ექვემდებარება.
რეგულაცია №66/2010 ევროკავშირის ეკომარკის შესახებ	ევროკავშირის ეკომარკა და ევროკავშირის მსშ-ის კრიტერიუმები შეძლებისდაგვარად ურთიერთშეთანხმებულია
2009/125/EC დირექტივა, რომელიც ენერგიასთან დაკავშირებული პროდუქტების ეკოდიზაინის მოთხოვნების დაწესების ჩარჩოს ადგენს (გადამუშავებული სახით)	ეკოდიზაინის დირექტივა იძლევა ევროკავშირის ძირითად ჩარჩოს ენერგიასთან დაკავშირებული პროდუქტების გარემოსდაცვითი კრიტერიუმების შემუშავებისათვის.
რეგულაცია No1221/2009 თანამეგობრობის ეკომართვისა და აუდიტის სქემაში (EMAS) ორგანიზაციების ნებაყოფლობითი მონაწილეობის შესახებ	EMAS რეგულაცია შეიცავს რეკომენდაციას, EMAS-ის გათვალისწინება საჯარო შესყიდვებისას როგორ არის შესაძლებელი

კანონმდებლობა/ პოლიტიკა	შესაბამისობა
რეგულაცია No 995/2010, რომელიც აწესებს მერქნისა და მერქნული პროდუქტების ბაზარზე განმათავსებელი ოპერატორების ვალდებულებებს	მერქნის რეგულაცია ევროკავშირის ბაზარზე არსებული მერქნის კანონიერების უზრუნველყოფის ჩარჩოს ადგენს
2012/19/EU დირექტივა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენის (WEEE) შესახებ	დირექტივა ითვალისწინებს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების განცალკევებით შეგროვებას, დამუშავებას და აღდგენას, ასევე ადგენს შესაბამის მოთხოვნებს დიზაინთან დაკავშირებით
2011/65/EU დირექტივა ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებში გარკვეული საშიში ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის შესახებ (RoHS)	აწესებს მოთხოვნებს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებლებისთვის, იმპორტიორებისთვის და დისტრიბუტორებისთვის დირექტივაში შეტანილ საშიშ ნივთიერებებთან დაკავშირებით და წესებს CE (ანუ ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის) ნიშანდების წესებს.
ევროკომისიის რეგულაცია No 1907/2006 ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვის შესახებ (REACH)	მწარმოებლები ვალდებულნი არიან თავიანთი ქიმიური ნივთიერებების თვისებებისა და უსაფრთხოების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეიტანონ ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში.
2009/28/EC დირექტივა განახლებადი წყაროების ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ	ადგენს სავალდებულო ეროვნულ სამიზნეებს განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიის წილისათვის, წესებს წარმოშობის გარანტიებზე, ადგენს ბიოსაწვავისა და ბიოსითხეების მდგრადობის კრიტერიუმებს.